უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების დარგი დავამთავრე და 1925 წლის გაზაფხულზე სახელმწიფო გამოცდებისათვის ვემზადებოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს პროფესორმა კ. კეკელიძემ თავისთან მიმიხმო, დაწერილებით გამომკითხა ჩემი ცხოვრებისა და ოჯახური მდგომარეობის ამბავი, მომავალში რას აპირებთო, პირველ ორ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გავეცი, მომავლისა არაფერი ვიცი-მეთქი, მორიდებით დავძინე. რას იტყოდით, ცოტა დაყოვნებით მკითხა გამოჩენილმა მეცნიერმა, რომ მოხერხებულიყო თქვენი უნივერსიტეტში დატოვება საპროფესორად მოსამზადებლად? მკითხა და თვალები შემომანათა... იმავე წლის შემოდგომაზე დამნიშნეს უნივერსიტეტში დატოვებულ სტიპენდიანტად ძველ ქართულ საერო მწერლობაში.

სტიპენდიანტად დატოვება მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. თითქმის იმავდროულად უსტიპენდიოდ (ასევა ვიტყოდით, წარმოებისაგან მოუწყვეტლად) დატოვეს კათედრასთან მიხეილ ზანდუკელი (ახალ ქართულ ლიტერატურაში) და ვახტანგ კოტეტიშვილი (ქართულ ფოლკლორში).

1927 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი — „შენიშვნები შაჰნამეს ქართული ვერსიების შესახებ“ (საქართველოს არქივი, III), ერთი ნარკვევიც დასაბეჭდად მიიღო უნივერსიტეტის „მოამბემ. 1927 წელს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მკვლევარი დავით კარიჭაშვილი, რომელიც უნივერსიტეტში მსახურობდა უფროს ასისტენტად: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი საგვლესინო კომიტეტისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდიდარი ხელნაწერი კოლექციები, ამას დემატა უნივერსიტეტის საკუთარი კოლექციაც და შეიქმნა „უნივერსიტეტის სიძველეთ-საცავი“. სწავლულ მცველებად, უფროსი ასისტენტების წოდებით, მიიწვიეს ღვაწლმოსილი მეცნიერები მოსე ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი (უნივერსიტეტის სასიძველეთ-საცავს განაგებდა კ. კეკელიძე). დ. კარიჭაშვილის გარდაცვალების შემდეგ ასისტენტის მოვალეობა მე დამეკისრა, 1927 წლის სექტემბრიდან. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა, ერთბაშად აღმოვჩნდი უხუცესი ქართველი მეცნიერის მოსე ჯანაშვილის კოლეგა და ქართული სულიერი კულტურის უმდიდრესი საგანძურის პასუხისმგებელი მცველი. სხვათა შორის, იქვე, ჩვენი სიძველეთსაცავის გვერდით, უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის მესამე სართულზე მოთავსებული იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიც (მუზეუმს განაგებდა სერგი გორგაძე). ჩემს ხელში იყო ბურთიც და მოედანიც. ამაზე მეტს კაცი რას ინატრებდა? მამხნევებდა და მახალისებდა ტკბილი მოსუცი მეცნიერის მ. ჯანაშვილის მეგობრობა.

სიძველეთსაცავის ხშირი სტუმრები იყვნენ ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ს. ხუნდაძე, აქ დღე და ღამეს ასწორებდნენ უნივერსიტეტთან დატოვებული კოლეგები (ზოგი მათგანი უკვე ლექტორები იყვნენ) — შ. ამირანაშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, გ. წერეთელი, იასე ციხაძე, მწერლებიდან მახსოვს, მოდიოდნენ ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, კ. ჭიჭინაძე, გ. ქიქოძე.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ბევრი ცვლილება მოხდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის საერთო ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ვაყაცდებოდა მისი პირმშო სამეცნიერო კერაც. იგი საბჭოთა კავშირის მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების პირველ რიგებში ჩადგა. უნივერსიტეტის ზრდა და წინსვლა მკაფიოდ მოჩანს, კერძოდ, ქართული მწერლობის კათედრის მაგალითზეც, თავდაპირველად უნივერსიტეტში იკითხებოდა ქართული საკლასიო მწერლობის ისტორია (კ. კეკელიძე) და ძველი ქართული საერო ლიტერატურა (ი. ყიფშიძე). ი. ყიფშიძეე აღრე გარდაიცვალა (1919 წელს). ქართული მწერლობის კათედრის ორგანიზაციისა და კურსების კითხვის მოელი სიმძიმე კ. კეკელიძეს დააწვა კიბერზე მან თანდათანობით შეკრიბა, აღზარდა, გაზაფა და დამოუკიდებელი მუშაობის გზაზე დააყენა არა ერთი და ორი, შემდეგ კარგად ცნობილი მკვლევარი. უკვე 1933 წელს შესაძლებელი გახდა ახალი ქართული მწერლობის კათედრის ცალკე გამოყოფა. კათედრას სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი მკვლევარი და ენერგიული მეცნიერი-ორგანიზატორი სიმონ ხუნდაძე. სამწუხაროდ, იგი იმავე 1933 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამჟამად, ორმოცდამეათე წლისთავზე, უნივერსიტეტში არის ქართული მწერლობისა და ფოლკლორის ხუთი კათედრა (ძველი ქართული მწერლობისა, ახალი ქართული მწერლობისა, ქართული საბჭოთა მწერლობისა, ჟურნალისტიკისა და ფოლკლორისა) და ორი სპეციალური სამეცნიერო-სასწავლო კაბინეტი (რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველასი). კათედრას მომსახურებას უწევს საკუთარი ბიბლიოთეკა. კაბინეტებში მოწყობილია საინტერესო მუზემები ან ფონდები. ქართული მწერლობის კათედრებზე წარმატებით მუშაობენ უნივერსიტეტშივე აღზრდილი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები. უნივერსიტეტის ქართული მწერლობის კათედრების ბაზაზე შეიქმნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი. უნივერსიტეტის კათედრები აწვდიდა და აწვდის მომზადებულ მუშაკებს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ახინგალის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებს.

უნივერსიტეტის ქართული მწერლობის კათედრებზე მომზადდა და გამოქვეყნდა მრავალი ასეული მონოგრაფიული გამოკვლევა, ნარკვევი, სახელმძღვანელო და დამხმარე-სახელმძღვანელო წიგნები. საკმარისია, თუ ვიტყვით, რომ 1923-1924 წლებში ეკიბეჭდა კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორი მონუმენტური ტომი (შავსებულ-შესწორებული სახით ეს ტომები შემოდგ სამჯერ გამოიცა). რასაკვირველია, ქართული მწერლობის ისტორიის საჭირო სიღრმითა და სისრულითა შესწავლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრეია, მაგრამ მაინც საკმარისად ბევრია გაკეთებული ამ მხრივ როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ.

ჩემთვის უნივერსიტეტი იყო და დარჩება განსაკუთრებით საყვარელ, მშობიურ, წმიდათაწმიდა სასწავლო-სამეცნიერო ტაძრად, რომელსაც აგერ ოთხ ათეულ წელზე მეტია გულწრფილად შევხარი. შეძლებისდაგვარად ვემსახურები, მისი წინსვლისა და ზრდის თვითმხილველ მოწმედაც გამოვდგები. უნივერსიტეტის ოფესსწაული ჩემ პირად დღესასწაულადაც მიხატება. ეს მხარეს და მახალისებს მომავალი მუშაობისათვის.

პროფესორი **ა. ბარამიძე.**
**თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრის გამგე, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.**

## თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილები და მეგობრები

## დილარა ალიევამ თბილისში სწავლობდა

**დილარა ალიევას,** აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს ბედმა გაუღიმა: სრულიად ახალგაზრდამ თბილისის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თავის საყვარელ თემაზე: „აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან“. სულ მალე იქვე დაიცავს სადოქტოროს— „ნიზამი და ქართული ლიტერატურა“.

მეცნიერ ქალს ცხოვრების თანამგზავრი — მეუღლე და შვილები ჰყავს. იმ დღეს, ჩვენ რომ სამუშაოზე ვეწვიეთ, ბინისაკენ ეჩქარებოდა. — დროა წავიდე, ბავშვებს მივხედო, შემდეგ განვაგრძოთ საუბარი, — მაგრამ დაწყებული საუბრის შეწყვეტა შეუძლებელი იყო. დილარა ჰყვებოდა „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი თარგმანის შესახებ, რომელზეც ფიქრი თხუთმეტი წელი სტანჯავდა.

მაშინ დილარა ალიევა თბილისში სწავლობდა. მისი მასწავლებლები ქართველი ფილოლოგები ლევან ასათიანი და ალექსანდრე ბარამიძე იყვნენ. ასპირანტისა და პროფესორების ურთიერთდამოკიდებულებაში იყო რაღაც ჩვეულებრივზე უფრო მეტი — აზერბაიჯანელი ქალიშვილი მათთვის შვილივით საყვარელი გახდა.

დილარა ხშირი სტუმარი იყო ლევან ასათიანის ოჯახისა, სადაც ქართველი პოეტები და მწერლები იკრიბებოდნენ. ერთხელ მთელი საღამო აზერბაიჯანულ ლიტერატურაზე საუბრობდნენ. პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა, რომელიც სუფრას თამადობდა, მოძმე ერის ლირიკოსთა სადღეგრძელო ასწია — მოიგონა მეგობარი აზერბაიჯანელი პოეტები, ხოლო როცა ახმედ ჯავადი ახსენა, თვალებზე ცრემლი მოადგა. ეი რა უამბო მეგობრებს.

—ახმედ ჯავადმა, ცხოვლმა აზერბაიჯანელმა პოეტმა და შექსპირის, გოეთეს, პუშკინის თარგმნელმა, დიდი ამაგი დადო ქართულ კულტურას: დედნიდან თარგმნა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. 1937 წელს რუსთაველის იუბილესთვის უნდოდა გამოეცა, მაგრამ მოულოდნელად დაიღუპა და ხელნაწერებიც დაიკარგა.

დილარა ალიევას პოეტ ახმედ ჯავადისეულ თარგმანზე არაფერი სმენოდა. აზერბაიჯანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ერთადერთი, რესპუბლიკის სახალხო პოეტების: სამედ ვურგუნის, სულიმან რუსტამოვისა და მამედ რაგიმის თარგმანი იყო ცხობილი. ქართველი პოეტის შეკითხვაზეც, იცნობს თუ არა ახმედ ჯავადის ცოხერვებსა და შემოქმედებას, დილარამ ვერაფერი თქვა.

ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.

ღღეს კი, სიმონ ჩიქოვანი ცოცხალი რომ იყოს, დილარა ალიევა სიხარულით ეტყოდა:

— ბატონო სიმონ, თქვენი მეგობარი პოეტის ახმედ ჯავადის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ ვიპოვეთ! ახლა აზერბაიჯანულ ენაზე რუსთაველის ორი თარგმანი გვაქვს.

ჯავადისეული თარგმანი მნიშვნელოვანია იმით, რომ ქართულიდან არის შესრულებული. პოეტს დედანს უცხოურია საქართველოში. მისი მეუღლე, ქალბატონი შექრია, დიდი სიყვარულით იკონებს თქვენი და ახმედ ჯავადის ტკბილ საუბრებს ქართულ ენაზე. ის ხოს ქართველი ქალია, აჭარიდან.

დილარა ალიევას სამუშაო მაგიდაზე დევს ძვირფასი განძი, ნაპოვნი, 30 წელი დავიწყების ფერფლი რომ ფარავდა. თარგმანი ლათინური შრიფტით არის მარჭანაზე გადაბეჭდილი (ოცდაათიან წლებში ამ შრიფტს ხმარობდნენ აზერბაიჯანში).

რუსთაველი საამოდ ეღერს ნიზამის ენაზე. დილარა ალიევა ჩვენი თხოვნით კითხულობს „ვეფხისტყაოსნის“ ჯავადისეულ თარგმანს. ხიალ, ზეგ კი გამოსაცემად მოამზადებს მას და დაარგული თარგმანით გამოწვეული ფიქრებიც დაწყნარდებიან...

**გ. მანია,**
**რ. ბაბუნაშვილი,**
ბაქო.

## ღღეს უნივერსიტეტის კორპუსებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სურათზე: 1. ლაბორატორიული სამუშაო ფიზიკის დიდ აუდიტორიაში; 2. უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მთავარი ვესტიბიულის ხედი; 3 უნივერსიტეტის ახალი კორპუსის დიდი კონფერენცდარბაზის ინტერიერი.

ფოტო **გ. შეყილაძისა** და **შ. ჩხეტიანისა.**

ქოლუნისტი
ქუ-3 მეორდ
შაბათი,
19/X, 1968 წ.

# გიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი

1968 MEXICO

## ᲓᲦᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

**19 ოქტომბრის ფინალები**

**მძლეოსნობა**

**ქალები** — 800 მეტრზე რბენა; **ვაჟები** — მძლეოსნური ათეული.

**ველოსპორტი**

**ტრეკი.** სპრინტერული რბოლა.

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

ფინალური რბოლები.

**ცურვა**

**ქალები** — ბრასისა და თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვა; **ვაჟები** — 100 მეტრზე ბრასისა და თავისუფალი სტილით ცურვა.

**ტყვიის სროლა**

მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა. 60 გასროლა.

**სასტენდო სროლა**

სატრანშეო სროლა.

**ძალოსნობა**

მძიმე წონის შტანგისტთა ასპარეზობა.

**ფარიკაობა**

**გაჟები** — რაპირა. გუნდური ასპარეზობა.

### Ვ. ᲡᲐᲜᲔᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ

**ახალი** მედლები მოიტანა ამ დღემ ჩვენს გუნდს. სილამაზითა და დაძაბულობით უმაგალითო ბრძოლაში 23 წლის სოხუმელმა აგრონომმა **ვიქტორ სანეევმა** მოიგო შეჯიბრება სამმაგ ხტომაში — 17 მეტრი და 39 სანტიმეტრი (ახალი მსოფლიო რეკორდი). მძლეოსნობის ისტორიას არ ახსოვს სხვა ასეთი შემთხვევა, რომ ერთბაშად ექვს მხტომელს გადალახოს 17 მეტრი ზღუდე. ოქროს მედალი ვიქტორ სანეევმა მოიპოვა უკანასკნელი ცდის დროს — იგი ნამდვილი მებრძოლია!

### ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ

**ევროპის** ჩემპიონმა შტანგისტთა ოლიმპიურ ფიცარნაგზე დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ საბჭოთა გუნდს ამით არაფერი დაუკარგავს, რადგან ორივე ჩვენი სპორტსმენია. 30 წლის ლენინგრადელი საშუალო წონის შტანგისტი **ბორის სელიცკი** გახდა ოლიმპიადის ჩემპიონი, **გაიმეორა სამყაროში მსოფლიო რეკორდი** — 485 კილოგრამი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ამ რეკორდის მფლობელმა 28 წლის კიეველმა **ვლადიმერ ბელიაევმა** — მას იგივე შედეგი აქვს, მაგრამ თვითონ 300 გრამით მძიმე აღმოჩნდა სელიცკზე.

### ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

**შეწყდა** ჩვენი სახელგანთქმული მინსკელი ეროს მტყორცნელის **რონუალდ კლიმის** გამარჯვებათა სერია. ოლიმპიურ ტურნირში იგი მეორე გამოვიდა, მხოლოდ რვა სანტიმეტრით ჩამორჩა თავის ყველაზე მრისხანე მეტოქეს, მსოფლიო რეკორდსმენს უნგრელ **დ. ეიგოცკის**, რომელმაც 73 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე ტყორცნა ურო.

### ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

**ასევე** მეორე იყო სიმაღლეზე ხტომაში მოსკოველი სტუდენტი **ანტონინა ოსოროკოვა**, რომელიც ორი სანტიმეტრით ჩამორჩა ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენს **ვ. რეზკოვას.** ჩემპიონი გადახტა 182 სანტიმეტრ სიმაღლეზე. მესამე ადგილი დაიკავა 18 წლის კიეველმა **ვალენტინა კოზირმა.** მისი შედეგი, ისე როგორც ოსოროკოვისი — 180 სანტიმეტრი.

### ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ

**წარუმატებლად** გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები 50 კილომეტრზე სიარულში, სადაც გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა **კ. ჰენემ** — 4 საათი, 20 წუთი და 13,6 წამი.

### ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**დრამატული** იყო ფინალური რბენა 5.000 მეტრზე. უკანასკნელ წრეში ტენისელმა **ბ. გამუდმ** არ დაუთმო ლიდერობა კენიელებს, რომლებიც დაძაბულად მისდევდნენ მას — ოლიმპიურ ჩემპიონს 10.000 მეტრზე რბენაში **ნ. ტემსა** და სახელგანთქმულ **კ. კეინოს.** მან გაიმარჯვა, აჩვენა 14 წუთი და 0,5 წამი. ვერონეიელმა **ნიკოლოზ სვირიდოვმა** მეშვიდე ადგილი დაიკავა — 14.18,4.

### ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ

**ვერცხლის** მედალი მოიპოვა საბჭოთა ხუთჭიდელების გუნდმა. ხელი იგდეს რა ლიდერობა პირველი დღიდანვე, ჩვენმა ხუთჭიდელებმა, სამწუხაროდ, (უფადა იფარიკავეს, შემდეგ გამოსწორეს მდგომარეობა (ეურვის დროს. მაგრამ უნგრეთის ნაკრებს მაინც ვერ დაეწივნენ. ოქროს მედალი უნგრეთმა მოიპოვა. ოლიმპიური ჩემპიონი პირად ჩათვლაში გახდა შვედი **ბ. ფერმი,** რომელმაც დაამარცხა ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი უნგრელი **ა. ბალცო.** ლოლიმპიურ აუზში დაიწყო შეჯიბრება ტრამპლინიდან წყალტომაში. ჯერჯერობით ლიდერობს ამერიკელი **მ. კინგი,** უშიალოდ მისდევს მას სსრ კავშირის ჩემპიონი **თამარ პოგოევა.**

### ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲐᲓᲔᲡᲗᲐᲜ

**ორი** გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი ფრენბურთელების ნაკრებმა გუნდებმა: ვაჟებმა — ბულგარეთის გუნდზე, ქალებმა — პერუს გუნდზე ერთნაირი ანგარიშით 3:0.

მეორე გამარჯვება წყალბურთელთა ტურნირში ჩაიწერა თავის აქტივში ჩვენმა ნაკრებმა, რომელმაც მოუგო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს — 6:3.

გაიმართა ნიჩბოსანთა ნახევარფინალური შეჯიბრება. ფინალებში გასვლის უფლება მოიპოვეს თექვსმეტი ქვეყნის სპორტსმენებმა. ჩვენი გუნდიდან მედლების პრეტენზიას აცხადებენ **ანატოლი სასი** და **ალექსანდრე ტიმოშინინი** — აგრეთვე წყვილნიჩბიანი ორიანით, წყვილნიჩბიანი ოთხიანით მესაჭეთ და რვიანით შეჯიბრებაში. გრძელდება მოკრივეთა წინასწარი შეჯიბრება. დაიწყო თავისუფალ მოჭიდავეთა ტურნირი. ჩვენი სპორტსმენების ანგარიშზეა შვიდი გამარჯვება და ერთი ფრე. მოეწყო ვოლოსიპედისტთა პირველი რბოლა ტრეკზე.

### ᲐᲡᲙᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ ᲕᲔᲚᲝᲛᲠᲑᲝᲚᲔᲑᲘ

**ადგილიდან** 1.000 მეტრზე გიტში პირველი ადგილი დიდებული შედეგით — 1 წუთი და 3,91 წამი (მსოფლიო რეკორდი) მოიპოვა ცნობილმა ფრანგმა ველომრბოლმა **პიერ ტრანტენმა.**

### ᲬᲧᲚᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

**ოლიმპიური** ჩემპიონები ქალთა კომბინირებულ ამანათრბენში 4X100 მეტრზე გახდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები. მათი დროა 4 წუთი და 28,3 წამი (მსოფლიო რეკორდი).

(საქდესის სპეც. კორ.).

მეხიკო.

# ᲚᲝᲠᲓᲘ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲖᲔ

**კამჩატკის** კოზელსკის ვულკანის მწვერვალზე ამას წინათ გაიმართა ქორწილი. ქალაქ კამჩატკის პეტროპავლოვსკის გემთშემკეთებელი ქარხნის ზეინკალმა იური უსოლცევმა და თევზის მრეწველობის სამმართველოს ინჟინერ-ქიმიკოსმა ფაინა იმიევამ ეს სასიხარულო ამბავი აღნიშნეს მწვერვალზე, მთამსვლელ მეგობართა წრეში.

კამჩატკის ამინდმა საზეიმო სიოუპრიზი როდი მოუმზადა ახალ დაქორწილებულებს: ძლიერმა ციკლონებმა მწვერვალს თავს დაატეხეს წვიმისა და თოვლ-ჭყაპის ნაკადები, მაგრამ ამან გუნება ვერ გაუფუჭა ვერც ნეფედედოფალს, ვერც სტუმრებს.

ორ დღე-ღამეს მიდიოდნენ მთამსვლელები მწვერვალისაკენ. მწვერვალზე პირველად ფეხის დადგმის უფლება მეგობრებმა ნეფედედოფალს დაუთმეს. შემდეგ კი თამადამ — გემთშემკეთებელი ქარხნის ინჟინერმა ვ. სკრიპალმა მეგობრებს მინერალური წყალი ჩაუსხა ტოლჩებში და პირველი სადღეგრძელო წარმოთქვა ნეფე-დედოფლის პატივსაცემად.

(საქდესი).

# ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ



**მძიმე** და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიმიტრი ნესტორის-ძე დუდუჩავა, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სკკპ წევრი 1927 წლიდან.

დიმიტრი დუდუჩავა დაიბადა 1898 წელს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა სკოლის განვითარებისათვის.

1921 წლის მარტში დ. დუდუჩავა არჩეულ იქნა ოზურგეთის მაზრის საგამასახლოს სასოფლო საბჭოს რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში და მის გამგებლობაში შედიოდა სასკოლო და კულტსაგანმანათლებლო საკითხები. შემდეგ რამდენჯერმე იყო არჩეული ზუზურგეთის სამაზრო ყრილობის დელეგატად, სამაზრო მუშაკთა კავშირის გამგეობის წევრად და საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ყრილობის დელეგატად.

წლების განმავლობაში დ. დუდუჩავა მუშაობდა მასწავლებლად და სკოლის დირექტორად უმაღლეს დაწყებით, გლეხთა ახალგაზრდობისა და საშუალო სკოლებში ჩოხატაურის რაიონში. იგი ითვლებოდა ოზურგეთის მაზრის განათლების განყოფილების რწმუნებულად, ხოლო 1930 წელს დანიშნულ იქნა ამავე რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. 1932 წლიდან მუშაობდა კოჯრის გაერთიანებული საბავშვო სახლებისა და პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორის თანამდებობაზე.

1934 წლიდან დ. დუდუჩავა მუშაობას იწყებს განათლების სამინისტროს აპარატში სკოლების სამმართველოს საბავშვო სახლების სექტორის გამგედ. 1935 წლიდან იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით გაგზავნილ იქნა ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. 1939 წლიდან იგი გადმოიყვანეს განათლების სახალხო კომისარიატში განათლების კომისრის თანაშემწედ ხელმძღვანელი კადრების დარგში, შემდეგ კი 1963 წლის მაისამდე მუშაობდა მინისტრის თანაშემწედ. იმავე წელს გადავიდა პენსიაზე, მაგრამ არ შეუწყვეტია აქტიური მუშაობა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივ ინსპექტორთა ჯგუფს.

დუდუჩავა დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, სამი მედლით და სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული".

ღვაწლმოსილი პედაგოგის, სანმეშო მოქალაქისა და უმწიკვლო ადამიანის დ. დუდუჩავას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მოწაფეებისა და კოლეგების გულში.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭო.**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის პერსონალური პენსიონერის**

**დიმიტრი ნესტორის-ძე დუდუჩავას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**დ. დუდუჩავას დაკრძალვა მოხდება 19 ოქტომბერს საბურთალოს სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან დღის 4 საათზე (ჩიტაძის ქ. № 11).**

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

# ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲣᲗᲔᲑᲨᲘ...

**დინამო"** (თბილისი) — **„დინამო"** (მინსკი) 3:2 (1:0). თბილისი. 18 ოქტომბერი. **„დინამოს"** სტადიონი. **მსაჯი** — **ი. ლუკიანოვი** (მოსკოვი).

**„დინამო"** (თბილისი) — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი (ასათიანი), სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი, მესხი; **დინამო"** (მინსკი) — **გლუხოტკო, კუზნეცოვი, ზარემბო, სახაროვი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, ადამოვი (კაბერსკი), მუსტიგინი, მალოფეევი, ვასილიევი.**

**მატჩის ბედი უკანასკნელ წუთებში გაირკვა. გადამწყვეტი გოლი ბავაშელმა** გაიტანა. **გაიმარჯვეს** **თბილისელებმა 3:2. ფაქტიურად მასპინძლებს შეხვედრა ჯერ კიდევ თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ჰქონდათ მოგებული, როცა ანგარიში 2:0 იყო (პირველი ბურთი 38-ე წუთზე სიმონიანამ გაიტანა, შემდეგ კი 66-ე წუთზე ბავაშელმა). ყურადღების მოდუნება თბილისელებს ძვირად დაუჯდათ, მალე მინსკელებმა წონასწორობა აღადგინეს — 2:2. ორივე გოლი დაცვის შეცდომებს უნდა მივაწეროთ. ბურთები გაიტანეს მუსტიგინმა და ვასილიევმა.**

**და აი, როდესაც მასპინძლები ქულის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ, მხოლოდ მაშინ გამოფიზწლდნენ და ცეცხლოვანი თამაში გვიჩვენეს, რომლის სულისჩამდგმელები მესხი და მეტრეველი იყვნენ.**

**რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მოახლოებულ ფინიშთან ორი ქულის მოპოვება ცუდი როდია, მაგრამ თბილისის დინამოელებმა ბოლო მატჩებში იმდენი დაკარგეს, რომ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ძალთა მთელი მოკრებითა და განსაკუთრებული მონდომებით.**

## ᲒᲣᲨᲘᲜ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

**გუშინ** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

**უურადღებას** იპყრობდა მატჩი მოსკოვში, სადაც პაექრობა ჰქონდათ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს დიდაქალაქის „სპარტაკსა" და ლუგანსკის „ზარიას". მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

**ჩემპიონატის** აუტსაიდერი ეროვანადის **„დინამო"** საკუთარ მოედანზე თამაშობდა ტაშკენტის **„პახტაკორის"** წინააღმდეგ და დამარცხდა 1:4.

**ალმა-ათის** **„კაირატი"** ბაქოს იწვია და აქ შეხვდა ადგილობრივ „ნეფტჩის". წარმატება ბაქოელებს ხვდათ 2:1.

### ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

**გუშინ** თბილისში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. ასპარეზობენ ბაზი, რომელიც „დინამოს" კორტებზე მიმდინარეობს, მონაწილეობს 16 გუნდი.

პირველ დღეს „დინამოს" ნაკრებმა დაამარცხა „ბურევესტნიკის" გუნდი 12:3, „ტრუდმა" — „სპარტაკი" 12:8, შეიარაღებული ძალების ნაკრებმა — „ავანგარდი" 12:0.

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

**„ა" კლასის პირველი ჯგუფი**

**მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 33 | 20 | 11 | 2 | 53-21 | 51 |
| „სპარტაკი" | 33 | 18 | 8 | 7 | 53-36 | 44 |
| „ტორპედო" (მ.) | 32 | 16 | 11 | 5 | 50-24 | 43 |
| ცსკა | 33 | 17 | 9 | 7 | 42-28 | 43 |
| „დინამო" (თბ.) | 33 | 14 | 10 | 9 | 42-24 | 38 |
| „დინამო" (მ.) | 33 | 15 | 8 | 10 | 46-30 | 38 |
| „დინამო" (მნ.) | 31 | 14 | 9 | 8 | 37-28 | 37 |
| „ჩერნომორეცი" | 32 | 10 | 14 | 8 | 43-39 | 34 |
| „ლოკომოტივი" | 32 | 10 | 13 | 9 | 31-33 | 33 |
| „ზარია" | 34 | 10 | 12 | 12 | 22-35 | 32 |
| „ზენიტი" | 33 | 9 | 13 | 11 | 31-43 | 31 |
| „ნეფტჩი" | 33 | 10 | 10 | 13 | 34-43 | 30 |
| „შახტიორი" | 32 | 9 | 11 | 12 | 32-32 | 29 |
| სკა | 33 | 9 | 10 | 14 | 37-42 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი" | 33 | 9 | 9 | 15 | 21-34 | 27 |
| „არარატი" | 33 | 10 | 6 | 17 | 30-42 | 26 |
| „ტორპედო" (ქ.) | 34 | 8 | 9 | 17 | 26-40 | 25 |
| „კაირატი" | 33 | 8 | 8 | 17 | 22-37 | 24 |
| „პახტაკორი" | 33 | 8 | 8 | 17 | 35-54 | 24 |
| „დინამო" (კირ.) | 33 | 5 | 9 | 19 | 20-42 | 19 |

# ᲠᲐᲓᲘᲝ

**● კვირა, 20 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა**

06.05 — უკანასკნელი ცნობები. 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — აისის ჰანგები. 08.30 — ლირიკული სიმღერები და ვალსები, 09.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 10.15 — „დილა მშვიდობისა" (მოსკოვი), 11.00 — „პიონერთა დაფდაფი (მოსკოვი), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.05 — მუსიკალური რადიოფიშმა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 13.00 — ციკლიდან „გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები". კონცერტი-სუბარი „დ. ოისტრახი", 14.00—მოსწავლეთათვის. „ბიძია თომას ქოხი". რადიოდადგმა, 14.45—„ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვი), 15.00 — მეგობრობის კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — კ. ბადირაძე. ლექსები, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეიმრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — სიმღერები დების იშხნელების შესრულებით, 17.30 — საუბარი „ქვების მრეწველობის მუშაკთა დღე", 17.45 — ს. მირიანაშვილი, სიმღერები, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი", 19.30 — თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 20.20 — საერთაშორისო კონცერტარი (მოსკოვი), 20.30 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის. „ჩემი უნივერსიტეტი", 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

**● შაბათი, 19 ოქტომბერი**

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „გილოცავთ დაბადების დღეს" — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შაბათის რეპორტაჟი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „მელოდიიდან მელოდიამდე" — საესტრადო კონცერტი, 12.30 — „შეხვედრები თეატრის ოსტატებთან" — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 13.30 — კინოფიშმა, 14.00 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ატლასი" — საქართველოს სსრ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 15.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.45 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 16.30 — „მსოფლიო დღეს", 17.00 — ახალი ამბები, 17.10 — გადაცემა ციკლიდან „სახელოვანი იუბილარი" — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსთა სკოლა", 17.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა „ერგუნი-2750", 19.00 — გადაცემა „კიდევ ერთი ლაურეატი", 19.30 — გადაცემა: „სატელეფონო სადგურები და მათი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, 20.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 21.00 — მხატვრული ფილმი „ანტონ ივანეს-ძე ჯვაროს", 22.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.40 — პროგრამა მეორე დღისთვის, 22.45 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) 1 საათიდან.

**● კვირა, 20 ოქტომბერი**

10.20 — გადაცემათა პროგრამა, 10.30 — „მაგიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მეგობრობამ საზღვრები არ იცის" (უკრაინისა და საქართველოს სტუდიების ერთობლივი გადაცემა). 12.00 — ბავშვებისათვის. ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმების ფესტივალი. მხატვრული ფილმი „ისინი თვრამეტისანი არიან", 13.35 — საბჭოეთიზო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1921 წელი (ქართულ ენაზე), 14.30 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 14.45 — ბავშვებისათვის. „აქ ცხოვრობს მუსიკა" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 15.15 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 16.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეიმრებისათვის, 17.00 — ციკლიდან „ლენინური პრემიის ლაურეატები" — სერგეი იუტკევიჩი, 18.00 — სპორტული პროგრამა „საფრანგეთის სპორტული პანორამა", 18.20 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 19.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 20.00 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა", „კომკავშირი-68", 22.15 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 22.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.30 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ყველაზე ხანგრძლივი დამე", 24.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) 10 საათიდან.

**● ორშაბათი, 21 ოქტომბერი**

10.55 — გადაცემათა პროგრამა, 11.00 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საიუბილეო სხდომის ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან, 16.00 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრის ტრანსლაცია, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. იყო და არა იყო რა"..., 2. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 18.45 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 19.00 — განცხადებები და რეკლამა, 19.10 — გადაცემა ციკლიდან „ლენინის საუნჯე" (გადაცემა პირველი), 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საიუბილეო ფესტივალი — „ზეიმობს ახალგაზრდობა" (ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან). ტრანსლაციის შემდეგ — პროგრამა მეორე დღისათვის და კინოპროგრამა, 23.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

**● სამშაბათი, 22 ოქტომბერი**

10.25 — გადაცემათა პროგრამა, 10.30 — კინოპროგრამა, 16.25 — გადაცემათა პროგრამა, 16.30 — სპორტული პროგრამა — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" თბილისი-„ზენიტი" ლენინგრადი, 18.15 — ახალი ამბები, 18.20 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი", 2. „მოდით, ერთად ვიმღეროთ!", 19.10 — განცხადებები, 19.15 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 19.30 — გადაცემა „გეგმა, ხარისხი, მოგება", 20.00 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია ზაჟარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. ტრანსლაციის დამთავრების შემდეგ — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე". პროგრამა მეორე დღისათვის და კინოპროგრამა, 24.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

**● ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 12.30 — „ნაბიჯს ვუსწორებთ კომკავშირს" — ლენინური პიონერიის პატაკი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 12.45 — მხატვრული ფილმი „ექიმი ვერა", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ლენინური პიონერული" ორწლეული"; 2. „ჩვენი კინოდარბაზი", 18.45 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 19.00 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 19.20 — ნაწყვეტები ვერდის ოპერებიდან, 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.30 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 21.30 — მხატვრული დოკუმენტური სატელევიზიო ფილმი „მე თვითონ" — მეორე ნაწილი. პრემიერა (საქართველოსა და ცენტრალური ტელევიზიის ერთობლივი ნაწარმოები), 22.55— პროგრამა მეორე დღისათვის, 23.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

**● ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „უმცროსი ვაჟიშვილის ქუჩა", 12.55 — „ნაბიჯს ვუსწორებთ კომკავშირს" — ლენინური პიონერიის პატაკი (გადმოცემა ტალინიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 19.00 — ეთერში „ახალგაზრდობა" — გმირი ქალაქების გადაძახილი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 21.10 — ლიტერატურული გადაცემა „ახალი წიგნები", 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — ეთერშია „ახალგაზრდობა" — „ახალგაზრდული აჭარა", 23.15 — კინოპროგრამა, 23.45 — „ეს შენი სიმღერებია, კომკავშირო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

**● პარასკევი, 25 ოქტომბერი**

10.45 — გადაცემათა პროგრამა, 10.50 — ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პლენუმის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 12.30 — „ნაბიჯს ვუსწორებთ კომკავშირს" — ლიტვის პიონერიის პატაკი (გადმოცემა ვილნიუსიდან), 12.45 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე. 13.15 — დოკუმენტური ფილმი „ერთგული შვილები სალხინოა", 17.20 — გადაცემათა პროგრამა, 17.25 — ახალი ამბები, 17.30 — ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პლენუმის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 18.30 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე, 19.30 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ეთერშია „ახალგაზრდობა" — „ახალგაზრდული ქუთაისი", 22.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.00 — XIX ოლიმპიურ თამაშებზე.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 10 ს. და 50 წუთიდან.

# ᲠᲐᲓᲘᲝ

**● ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ**

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ**

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ**

**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ**

# ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲐᲓᲔᲡᲗᲐᲜ

**ᲕᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲡ**

# ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

**● ᲚᲣᲒᲐᲜᲡᲙᲘᲡ, ᲛᲝᲛᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲡᲗᲐᲜ ● ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲘᲜᲝᲕᲘᲐ — ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ.**

# ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

# ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Თ